ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილების
დანართი 1
(კოდიფიცირებული *ცვლილებებით“*
ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებები:
20.04.2022 წ. N07-01/22 ;
23.12.2022 წ. N07-01/60

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფოუნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი

მუხლი 1.ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,ბსუ“) სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი (შემდეგში ,,წესი“) შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ბსუ-ს წესდების საფუძველზე.
2. წინამდებარე წესის მიზანია დაადგინოს ბსუ-ს სტუდენტის (ინდივიდუალური ან/და ერთობლივი) მიერ დაფინანსების მოპოვების მიზნით საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურულ-შემოქმედებითი ან სპორტული თემატიკის პროექტის (შემდეგში ,,პროექტი“) წარდგენისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა.
3. წინამდებარე წესის შესაბამისად წარმოდგენილი პროექტების განხორციელების მიზნით ბსუ-ს ბიუჯეტში გაითვალისწინება შესაბამისი თანხა, ხოლო ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განისაზღვრება პროექტის საბიუჯეტო განაცხადის ფორმა და დაფინანსების ზღვრული ოდენობები (შემდეგში ,,ლიმიტი“). (*ცვლილება - 20.04.2022 წ. N07-01/22 გადაწყვეტილებით)*

მუხლი 2. პროექტების განმხილველი კომისია

1. პროექტების გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, რექტორის ინდივიდუალური ბრძანებით მტკიცდება საკონკურსო კომისია, არანაკლებ 5 (ხუთი) წევრის შემადგენლობით, პროექტების განაცხადის და შეფასების ფორმები.
2. საკონკურსო კომისია საპროექტო განაცხადების განხილვის მიზნით იკრიბება რექტორის ბრძანებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. პროექტთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

3. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი, რომელიც ყოველ სხდომაზე ადგენს ოქმს და სხდომის ჩატარებიდან არანაკლებ 3 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის უნივერსიტეტის რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.
4. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია სტუდენტური პროექტის განხილვისას მოიწვიოს ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი ან/და შესაბამისი დარგის სპეციალისტი.
5. საკონკურსო კომისიის საქმიანობის ის პროცედურული საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ საკონკურსო კომისიის მიერ, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, ბსუ-ს წესდებას და სამართლებრივ აქტებს.
6. საკონკურსო კომისიის წევრი აცილებული უნდა იქნეს კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცედურას, თუკი არსებობს ინტერესთან კონფლიქტი, კერძოდ, საკონკურსო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს ის პირი:
ა) რომელიც არის კონკურსის მონაწილე;
ბ) რომელმაც შესაძლოა უშუალოდ მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი, პროექტის დაფინანსების ან დაუფინანსებლობის შემთხვევაში;
გ) კონკურსანტის პირველი რიგის ნათესავი;
7. ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია მოითხოვოს აცილება კონკრეტული პროექტის შეფასების დროს, ხოლო საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსის მონაწილის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, ხმათა უმრავლესობით, საკონკურსო კომისიის წევრს არ მისცეს კონკრეტული პროექტის შეფასების უფლება.

მუხლი 3. სტუდენტური პროექტი და დაფინანსების გადაწყვეტილება

1. სტუდენტური პროექტი შეიძლება იყოს:
ა) სამეცნიერო პროექტი - პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებასთან დაკავშირებული კვლევითი სახის პროექტი;
ბ) საგანმანათლებლო პროექტი - არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებული შემეცნებითი სახის პროექტი;
გ) კულტურულ-შემოქმედებითი პროექტი - სახელოვნებო და შემოქმედებითი სახის პროექტი;
დ) სპორტული პროექტი - ოლიმპიური თამაშობებიდან ნებისმიერი სახეობის პროექტი - სტუდენტებში მასობრივი სპორტის წახალისებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით.
2. სტუდენტური პროექტი უნდა იყოს ბსუ-ს მისიის, სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული საქმიანობის ხელშემწყობი.
3. პროექტების დაფინანსების გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება ბსუ-ს

ბიუჯეტში სტუდენტთა თავისუფალი პროექტებისთვის გათვალისწინებული საორიენტაციო ხარჯები შემდეგი პრიორიტეტული თანმიმდევრობით: 1) სამეცნიერო პროექტები; 2) საგანმანათლებლო პროექტები; 3) კულტურულ- შემოქმედებითი პროექტები და 4) სპორტული პროექტები.

4. გამარჯვებული სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ სამართლებრივ აქტს გამოსცემს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სტუდენტური პროექტების საკონკურსო კომისიის მიერ წარმოდგენილი შედეგების გათვალისწინებით. სტუდენტური პროექტების განსახორციელებლად საჭირო (აუცილებელი) ფინანსური და მატერიალური რესურსების ხარჯვაზე და გამოყენებაზე გადაწყვეტილებას, ასევე საჭიროების შემთხვევაში პროექტით გათვალისწინებული აქტივობის შესრულების გადავადების ან გაუქმების/შეწყვეტის ან/და ბიუჯეტში ცვლილების (შემცირების) შეტანის გადაწყვეტილებას იღებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რექტორთან შეთანხმებით, ამ პროექტის ხელმძღვანელის დასაბუთებული ინიციატივით და სტუდენტური პროექტების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე. (*ცვლილება - 23.12. 2022 წ. N07-01/60 გადაწყვეტილებით)*

5. ბსუ-ს ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებების საჯაროობას (გაცნობას დაინტერესებულ პირთათვის).

მუხლი 4. სტუდენტური პროექტის ადმინისტრირება

1. სტუდენტური პროექტების რეგისტრაცია წარმოებს ელექტრონულად, სტუდენტურ პორტალზე - Portal.bsu.edu.ge-ზე (შემდეგში „პორტალი“).

2. პროექტის ელექტრონულად ატვირთვა შესაძლებელია კალენდარული წლის ნებისმიერ დღეს, როგორც ინდივიდუალურად, აგრეთვე ერთობლივად, საინიციატივო ჯგუფის/კლუბის/ ან/და სხვა სახის გაერთიანების სახელით.

3. პროექტის რეგისტრაციისთვის პორტალზე უნდა აიტვირთოს შემდეგი სახის დოკუმენტები:

ა) საპროექტო განაცხადი;

ბ) სარეკომენდაციო წერილი (გაწეული რეკომენდაცია უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ და მასში უნდა იყოს ასახული პროექტის მნიშვნელობა შესაბამისი დარგისთვის/მიმართულებისთვის);

გ) სტუდენტ(ებ)ის ავტობიოგრაფია (CV);

დ) ცნობა აქტიური სტუდენტის სტატუსის შესახებ;

ე) საინიციატივო ჯგუფის/კლუბის/ ან/და სხვა სახის გაერთიანების სახელით წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში პასუხისმგებელმა პირმა (შემდგომში ხელმძღვანელმა) აგრეთვე უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ამ გაერთიანების ძირითადი მიზნების შესახებ და აგრეთვე ამ გაერთიანების მიერ განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. პროექტის ხელმძღვანელმა/პასუხისმგებელმა პირმა პროექტის საბიუჯეტო განაცხადის შედგენის დროს უნდა იხელმძღვანელოს **ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო განაცხადის ფორმით** და

პროექტის შესრულებისათვის გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობებით (ლიმიტით). (*ცვლილება - 20.04.2022 წ. N07-01/22 გადაწყვეტილებით)*

5. სტუდენტურ პორტალზე წარმოდგენილი პროექტების კომისიისათვის წარდგენას უზრუნველყოფს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური.

6. პორტალზე არასრულად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემთხვევაში პროექტი ავტომატურად მოიხსენება კონკურსიდან (აღარ გადაეცემა კომისიას განსახილველად, რაც წერილობით ეცნობება პროექტის ავტორს).

7. წარმოდგენილ სტუდენტურ პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადაწყვეტილების მიღების შესახებ ეცნობება პროექტის ხელმძღვანელ/პასუხისმგებელ პირს, მის მითითებული მობილურის ნომერზე ან/და ელექტრონულ ფოსტაზე, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებიდან მომდევნო 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. პროექტის ხელმძღვანელი/პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ბსუ-ს საკონკურსო კომისიის ან/და ადმინისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოს დამატებითი/დაზუსტებული დოკუმენტაცია ან/და პროექტი, ასევე საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს პროექტის ზეპირი ან/და ვიზუალური პრეზენტაცია.

9. სტუდენტური პროექტის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ (პროექტის დასრულების ვადა) პროექტის ხელმძღვანელი/პასუხისმგებელი პირი ვალდებულია უმოკლეს ვადაში რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე წარმოადგინოს პროგრამული და ფინანსური ანგარიში, როგორც ფიზიკურად, ასევე ელექტრონულად (სტუდენტური პროექტების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულთან კონსულტაციის გათვალისწინებით). (*ცვლილება - 23.12. 2022 წ. N07-01/60 გადაწყვეტილებით)*

10. სტუდენტური პროექტების დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხები, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, დარეგულირდება რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.